დეკანის ბრძანება №7/2014

კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იულიხის კვლევითი ცენტრის (ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე გამოცხადდეს კონკურსი იულიხის კვლევითი ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტში სტუდენტთა სტაჟირებისათვის 2014 წლის სექტემბერ-ნოემბრის პერიოდში.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკის მიმართულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.
3. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:
    - CV;
    - სამოტივაციო წერილი;
    - ამონაწერი სასწავლო ბარათიდან.
4. კონკურსის შედეგად შეირჩეს 1 სტუდენტი 6 კვირიანი სტაჟირებისთვის, ან 2 სტუდენტი 3 კვირიანი სტაჟირებისთვის.
5. საკონკურსო განაცხადის მიღება მოხდეს ფაკულტეტის კანცელარიაში 2014 წლის 27 მაისიდან 6 ივნისის ჩათვლით, 14–დან 17 საათამდე.
6. შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით
    - გოგბერაშვილი მერაბ - თსუ ასოცირებული პროფესორი;
    - ელიაშვილი მერაბ - თსუ რექტორის მოადგილე, პროფესორი (თავმჯდომარე);
    - კაჭარავა ანდრო - იულიხის კვლევითი ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, საერთაშორისო ANKE კოლაბორაციის სპიკერი;
    - ტაბიძე მირიან - თსუ, ექსპერიმენტული ინფორმაციის მოდელური ანალიზის ლაბორატორიის გამგე (მდივანი);
    - ღვედაშვილი გიორგი - თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
    - შათაშვილი ნანა - თსუ პროფესორი;
    - შენგელაია ალექსანდრე - თსუ პროფესორი;
    - შტროერი ჰანს - იულიხის კვლევითი ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი.
7. საკონკურსო განაცხადების განხილვა მოხდეს 2014 წლის 9 ივნისიდან 14 ივნისამდე.
8. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კონკურსანტთან გასაუბრების შემდეგ.
9. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. სათანადოდ გაფორმებული ხელმოწერილი ოქმი ჩაბარდეს ფაკულტეტის კანცელარიას არაუგვიანეს 16 ივნისისა.
10. ბრძანება განთავსდეს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე და შესაბამის სტენდებზე.

რამაზ ბოჭორიშვილი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

08.05.2014